



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 180
25/01/2018

ქალაქი ბათუმი

180-05-4-201801251018



„გამგებლის წარმომადგენლისთვის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 04 ივლისის №754 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1. „გამგებლის წარმომადგენლისთვის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 04 ივლისის №754 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მერის წარმომადგენლისთვის ვალდებულების დაკისრების შესახებ“.

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს დაეკისროთ შემდეგი ვალდებულებების შესრულება:

1.1 დაბადების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვა.

1.2 პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვა.“.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

